

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

14 მაისი 2018 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: თამარ შენგელია.

მოწვეული პირი: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კობა მაღლაკელიძე.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინსტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნარგიზი ალფაიძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაიძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2018 წლის განვლილ პერიოდში არსებული მდგომარეობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 01 იანვრიდან-01 მაისამდე).

მომხსენებელი: /კობა მაღლაკელიძე/

6. სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიამძემ, კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის თვითმართველობამ გაითვალისწინა საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის წერილობითი რეკომენდაციები უსახლკარო ცხოველთა დროებითი იზოლირების, სტერილიზაცია/კასტრაციის, იდენტიფიკაციის და მიკედლების ადგილას დაბრუნების პროგრამის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებაში, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია თანამშრომლობა საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციასთან, საქართველოს სხოველთა დაცვის ფედერაციის ცხოველთა მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ახორციელებდეს ზემოაღნიშნული პროგრამის შესრულების მონიტორინგს, აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია ერთადერთი ცხოველთა მონიტორინგის სამსახური შემდეგი სახელწოდებით - საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის ცხოველთა მონიტორინგის სამსახური.

მომხსენებელმა და ასევე კომისიის თავმჯდომარემ განმარტეს, რომ წარმოდგენილ საკითხს ჭირდება დამუშავება და მომზადება, ჩვენ შევქმნით იურიდიული კომისიის სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავს და მომდევნო კომისიის სხდომაზე წარმოვადგენთ დამუშავებულ საკითხს.

გადაწყვეტის:

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის განხილვა გადაიდოს მომდევნო კომისიის სხდომაზე.

/დანართი N2/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა გელამ, კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან წარმოდგენილ დადგენილებაზე მოვიდა შენიშვნები, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში.

/დანართი N3/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გელამ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ და მოკლედ განმარტა, რომ ცვლილება შევიდა დადგენილების სათაურში და ასევე პირველ მუხლში:

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმა თანდართული ფორმების (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5) შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილი იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში.

/დანართი N4/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

მოსმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე და მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ტერმინებს: სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა მერიით და შესაბამისად „გამგებელი“ „მერიით“, ასვე სამსახურის წესდების მე-3 მუხლს დაემატა; ბინადარი ცხოველების და მათი პოპულაციების მართვის და კონტროლის ორგანიზება;

წარმოდგენილ საკითხზე კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვიტეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

/დანართი N4/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა მაღლაკელიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2018 წლის განვლილ პერიოდში არსებული მდგომარეობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 01 იანვრიდან-01 მაისამდე).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 19 თამამშრომელი, მ/შორის: ქალი - 13, კაცი - 6, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 6.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე